# ერი

№ 43

წელიწადი პირველი 1913

ფ ა ს ი:
წლიურად . . . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურად . . . . . . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

კვირა, 22 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.



## 1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქალ. ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ

გახსნა საკუთარი

# სტამბა

სტამბა საუკეთესოთ მოწყობილია და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეს—ქართულ, რუსულად ენებზე.

დრაპი ზიზერი · ტრიკო მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა
## ს. მ. პირაკოზოვი და ზ. გ. ოზანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
## საზამთრო საქონელი

კოტკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება
## იაფათ ნაჭრები.

ველვეტი გენუა იდეალი ფლორა.


ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი იასონ დავითის ძე გელოვანი უღრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქუთაისში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გადაიცვალა მისი მეუღლე კნეინა

### ელისაბედ პავლეს ასული გელოვანისა.

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, (სომხის ქუჩა, საკუთარი სახლი); მიცვალებულს ბინიდან გამოასვენებენ კვირას, დილის ცხრა საათზე. კათოლიკეთა ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფ. ცალკე მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება.

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქუთაისში გადაიცვალა კნეინა

### ელისაბედ პავლეს ასული გელოვანისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით აუწყებენ ძმა განსვენებულისა პოდპოლკოვნიკი მიხეილ პავლეს ძე გარდამოვი და და მარიამ პავლეს ასული ბობილოვისა შვილებითურთ პანაშვიდები. ყოველდღე, საღამოს 5 საათზე (სომხის ქუჩა საკუთარ სახლი) მიცვალებულს ბინიდან გამოასვენებენ კვირას, დილით ცხრა საათზე. კათოლიკეთა ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება.

ილარიონ დავითის ძე ბოლქვაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 დეკემბერს, საფიჩხიის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

### ეფემია ალექსანდრე ეფენდ-ოღლის ასულის ბოლქვაძისა

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, მცირე ხნის ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

### სიმონ ბესარიონისძე ლოლობერიძე.

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ შვილები: ალექსანდრე, დავითი, ნინო, თამარი და მარიამი, მეუღლე მარიამი, სიძე ლონგინოზ გრიგოლია და რძალი მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე—ორპირის ქუჩა ლოლობერიძის სახლი გამოსვენების დღე ცალკე გამოცხადდება.


## სავაჭრო სახლი „გიორგი ფითოშვილისა"

გოლოვინის პროსპექტი, 21. თფილისის განყოფილება. ტელეფ. 12–28.

სრული მოწყობა: ელექტრონის სადგურებისა, გამართვა ელექტრონით განათებისა, ტელეფონის ელექტრონული ზარების, კაბელი, გაყვანა შნურები ჩვეულებრივი და „გუპეროვის" ყოველნაირი ელექტრონის გასამართავი მასალა,

### ლამპები და მობისხის ჰაცრონები

ეკონომიური გასახურებელი ლამპები „ტუნგსრამის" 75% ეკონომიის დახარჯვით. გაირჩევა სიმაგრითა და სიმტკიცით.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლად გამოსულ პაპიროზებს

## პაროსი { 25 ცალი 3 შ. 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.** თფილისში.



## „რადიუმი"

ხუთშაბათიდან, 19 დეკემბ. აჩვენებს საუცხოო სურათს, მწერალი ქალის ვერბიცკაიას რომანიდან გადმოკეთებულს.

### ბედის გასაღები.

### 2-ე და უკანასკნელი ნაწილი 6 განყოფილებათ.

რადგან სურათის შეძენა მალიან ძვირად დაჯდა, ამიტომ დირექცია იძულებული შეიქნა ფასები მოემატებია.

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი:

ადგილი ლოჟაში—4 აბაზი; 1 რიგი—3 აბაზი, 2 რიგი 2 აბაზი, 3 რიგი 6 შაური.

ბილეთები სეანსებით იყიდება, ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია. დაახლოებით სეანსების დასაწყისი: 1—5 საათზე. 2—6 საათ. 45 წ. 3—8½ ს. 4—10 საათსა და 15 წუთზე. უფასო კონტრამარკებით არავის უშვებენ, მოსამსახურე პირთ გარდა.

**იყიდება** კახიანოურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.


## თანამედროვე ტრაგედია.

მართლაც რამდენი უბედურება და ტანჯვა განუცდია ქართველ ერს წარსულში, რამდენი სიმწარე უნახავს მას, რამდენ გაჭირვებას შესწრებია და მაინც იგი სასოწარკვეთას არ მისცემია, სულით არ მოდუნებულა და თავისი არსებობის დროშა-ალამი ღირსებით უტარებია. ეს იყო მაშინ, როდესაც ქართველი ერი ერთ მტერს ებრძოდა, მტერს მტრად მოსულს და არა მოყვრულად შემოპარულსა და შემოხიზნულს. მაშინდელი ქართველის ერთი პოლიტიკა მუშაობდა და ერთი ხმალი სჭრიდა, მტერიც პირდაპირი იყო. წავიდა, გაქრა ის „დრო ნეტარი" და აღარც ძველებური მტრები სჩანან სადმე. არიან მხოლოდ „ლაქიები", რომელნიც გელოლიავებიან, გეალერსებიან, გეფერებიან, ფეხს გილოკვენ სანამ შენს ნდობას დაიმსახურებდენ, მოყვრულად შემოდიან შენს ოჯახში და მტრულად, ავაზაკურად, მზაკვრულად სცარცვავენ შენს სახლს, შენს ოჯახს, შენს კარმიდამოს და ლაქიური ცინიზმით დაგხითხითობენ:—გამეცალე, თორემ ამას ხომ ხედავო და ალერილ მუშტს გიჩვენებენ. თუ უწინ მტერი რამდენიმე იყო და თვითოეული რიგ-რიგად გებრძოდა, დღეს მტრები უთვალავი არიან და ერთად, ერთსადაიმავე დროს გებრძვიან, განადგურებას გპირობენ. გაბიაბრუებს შენი თანამოძმე, სარჩოსაბადებელს „გცანცლავს" შენი ახლო მეზობელი, მასპინძლობას იწყებს სტუმარი და კარზედაც გითითებს:—ინებეთ და გაბძანდით, შენ აქ ადგილი აღარ გაქვსო. ხედავ ამ გარშემოხვეულ მტერთა ლეგიონებს და კვირობ; საიდან გაჩნდენ, რომელი ხვრელიდან ამოძვრენ ეს ქართველთა თანამედროვე „ძმები", რომელი პლანეტიდან ჩამოსახლდენ ჩვენი ყვავილოვანი მიწის მკერდზე, ვინ ან რამ, ჩამოათესლა იგინი ჩვენში და გაკვირვებასთან ერთად, ოხვრა აღმოხდება შენს გულს, როდესაც გაიგებ და სცნობ, რომ თანამედროვე ტრაგედიას ჩვენს ბრწყინვალე წარსულში უძევს სათავე, ჩვენს ყოფილს უზრუნველობა-გულუბრყვილობაში, განა ერთია ან ორი მაგალითი იმისა, რომ დღევანდელი „მოკეთენი" ბევრჯერ არც წარსულში გვაგონებდენ სიკეთეს? მაგრამ... მიუხედავათ ამისა მაინც ამ დღეს მოვესწარით. გადაიკითხავდით ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში მოთავსებულ „თხოვნას", რომელიც სოხუმის მიწის მოიჯარადრე გლეხების რწმუნებულებმა მეფის მოადგილეს მიართვეს. როგორც ამ წერილიდან ჩანს, სოხუმის ოლქში ქუთაისის გუბერნიიდან გადასახლებული 30 ათასი გლეხი, თურმე უცხო, გარეშე ქვეყნებიდან შემოსული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მიერაც კი აუტანელ ტანჯვა-წამებას განიცდის და ყველას მათ გადასახლება მოელის.

„ჩვენ იმის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რომ თავისუფალი მიწა ცენტრალური გუბერნიიდან გადმოსახლებულთ ეძლეოდესთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში იცავენ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მაგრამ როდესაც რუსეთის ქვეშევრდომთ მცირე მიწა აქვთ, მაშინ მიწის შეძენის საქმეში უცხოეთის ქვეშევრდომთა პრივილეგიებით აღჭურვა, ჩვენა გვგონია, სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგი უნდა იყოს" ო სწერენ გლეხები. მართლაც ადამიანი ძალა-უნებურად ურიგდება მდგომარეობას, როდესაც მის ავლა დიდებას მისი ნებით თუ უნებლიეთ მისი „მესვეურნი" განაგებენ საკუთარ ინტერესთა გამო, მაგრამ წართმევა იმისთვის, რომ არც შენ შესჭამ, არც მას აჭამო და გადამთიელს გადაუყარო, ყოველი ლოღიკისა და საღი აზროვნების წინააღმდეგია, ამგვარ მოვლენას ერთგვარი „უკონტროლობა" ეწოდება, რომელიც შეიძლება ერთი ტენდენციით იყოს გამოწვეული:—ოღონდ ქართველ გლეხს არა და თუნდაც მგელსაც შეუჭამია. და მერე რითი დავიმსახურეთ ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება, ასეთი სულისკვეთება, რათ ენანებათ ყველაფერი ჩვენთვის და მგლისთვის კი არა? ნუთუ მართლა დამნაშავენი და შემცოდენი ვართ რამეში? დიახ, ჩვენი მერვე ცოდვა ჩვენივე გულუბრყვილობაა წარსულში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და სამირკველი ჩაუდგა ჩვენს თანამედროვე ტრაგედიას...

**იმერი.**

## პ რ ე ს ა.

„ზაკავკაზსკაია რეჩის" პარასკევის ნუმერში ფრიად საგულისხმო წერილია მოთავსებული სომეხ-ქართველთა დამოკიდებულების შესახებ. ყველამ უწყის, თუ პოლიტეხნიკუმის ბედის გადაწყვეტამ რა სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია სოლოლაკელ პლუტოკრატთა შორის. ზეიმს დასასრული არ მისცემია... როგორც ყოველთვის, სოლოლაკელთა ზეიმს არც ახლა ჩაუვლია „უსკანდალოთ", სიხარულით „გამობრუჟულები" უთავბოლოთ კაკანობენ და ვინცხას რიცხათი ემუქრებიან. რასაკვირველია, ეს „ვინცხა" ქართველი ხალხია, რომელ-

საც „მშაკ-ჰორიზონების“ რაზმი განადგურებით ემუქრება. ღმერთო იკურთხა შენი სახელი! აქ შემთხვევით მაგონდება ერთი ლექსი იმის შესახებ, თუ რა რიგ ამკობდა „ინდაურს“ ხმალი... განიზრახეს სომეხ-თათართა შეტაკების აჩრდილით ჩვენი შეშინება... (ბიჭოს! რა ყოჩაღი ხალხია!?.) და, ამის გამო სწერს „ზაკავკაზსკაია რეჩიც“:—

„მოვილაპარიკოთ შავბნელი მოვლენის შესახებ: შესახებ სომეხ-თათართა შეტაკებისა.

ნუთუ, რომელიმე სომეხს მოუბრუნდება ენა სთქვას, რომ ამ შემთხვევის დროს ქართველებს ჩვეულებრივი ღირსებით არ ეჭირათ თავი და შეუდგება იმის მტკიცებას, რომ ქართველებს ისე არ ეჭირათ თავი, როგორც ნამდვილ ძმებსა და მეზობლებს?..

ვინც ამ კითხვითაა დაინტერესებული, მას მივუთითებთ ამ სტატისტიკურ ცნობებზე, რომელიც ცხადყოფს იმ ქართველთა რაოდენობას, რომელთაც, როგორც ბაქოში, ისე სხვაგან მწარე დღეები იწვნიეს, როდესაც მათ თავისი ნებით იკისრეს მეზობელ ერთა შორის შუამავლობა და შეეცადენ განხეთქილება მოესპოთ...

ამგვარი როლი სოლოლაკელ ჩარჩებს დიახაც არ შეეფერება და შეიძლება ეს მათი თვალსაზრისით სისულელეც იყო, როგორც ყველაფერი ის, რაც სომხთა ბურჟუაზიას ხელს უწყობდა თვით მასპინძლებისთვის ჯიბეები დაეცარიელებიათ, მის მამულში დამკვიდრებულიყვენ და შემდეგ მათთვისაც მუშტი ეჩვენებიათ“...

უმადური სტუმარი ყოველი ერის ხვედრია, მაგრამ სოლოლაკელთა უმადურობა ყოველ წრესაა გადასული. მადლობის ნაცვლათ მუშტი?! სწორეთ შესაფერია სოლოლაკელთა, ხოლო არა მომენტის, რადგან ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, სანამ თვალი შეეჩვეოდეს სანახაობას: დიდყურას კურტანი ამკობდეს და სოლოლაკელ ყვირილის... ზარბაზანი... დროა, მიწყნარდენ ეს სომხის ხალხის მყვლეფელნი და მყუდრო ბინა მონახონ. სავსებით ვეთანხმებით ამ შემთხვევაში „ზაკ. რეჩს“, რომელიც სოლოლაკელ პლუტოკრატიას ღირსეულათ უმასპინძლდება, ხოლო კარგი იქნება დუმბაძე-ყარანგოზიშვილ-ნაკაშიძესთან „ფლირტს“ თავს დაანებებდეს.

# ახალი ამბავი.

დღეს ქართულ გიმნაზიაში ლიტერატურ-მუსიკალური საღამო გაიმართება. მოწაფე-მემუსიკეთა გუნდი დაუკრავს სხვადასხვა პიესას, მოწაფენივე წაიკითხვენ პროზასა და ლექსებს.

✦ ქუთაისში ჩამოვიდენ დ. ბაღდადის რწმუნებულნი—დავ. ჩარკვიანი, ივ. გოკსაძე და ს. სირბილაძე, რომელთა გამოძიებითაც ამოჩენილა, რომ ადგილობრივ მამასახლისს ბევრი ბოროტმოქმედება ჩაუდენია; ამის თაობაზე რწმუნებულნი გუშინ თხოვნით წარსდგენ მაზრის უფროსის წინაშე.

✦ ქართული გიმნაზიის მოწაფემ ვლ. თაყაიშვილმა შემოიტანა ჩვენს რედაქციაში ვინმე ანა ნიკანდრის ასულის პოტანინის ქალის საპენსიო წიგნაკი, რომელიც მას ქუჩაში უპოვნია. წიგნაკი რედაქციის კანტორაში ინახება.

✦ სათათბიროს დეპუტატის კერენსკისათვის კავკავში ლექციის წაკითხვის ნება არ მიუციათ. ადგილობრივ მთავრობას კერენსკისათვის უთქვამს, ნებართვის ასაღებათ მეფის მოადგილეს მიმართეო.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭოს ფინანსიურმა კომისიამ დადგინა „სასოფლო გაზეთს“ 300 მანეთი მიეცეს ერთდროული დახმარების სახით.

✦ პეტერბურგში აღმოსავლეთის ენათა შესასწავლ კურსებზე ოთხ მსმენელს ქართულ ენაში მიუცია ეგზამენი, ოთხს სომხურში და ოთხსაც თათრულში. სამი მათგანი მომრიგებელ მოსამართლეთ დაუნიშნავთ და ერთი კი პროკურორის ამხანაგათ კავკასიაში.

✦ მომავალი 1914 წლისთვის ქუთაისის მაზრის უფროსმა ბ. კორლანოვმა სოფლის სამართველოებს „სასოფლო გაზეთის“ გამოწერა დაავალა.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „განათლების“ მორიგი დეკემბრის ნუმერი. ჟურნალში მოთავსებულია:—ი. ვართაგავასი, ა. სვანიძისა, ი. ალხაზაშვილის, ი. ფერაძის წერილები ვაჟა-ფშაველას ლექსი და მრავალი სხ.

✦ ოზურგეთსა, ჩახატაურსა და ხიდისთავში აურჩევიათ კომისიები, რომელთაც უნდა იშუამდგომლონ გურიაში რკინისგზის გაყვანის თაობაზე.

✦ გურიის მასწავლებელთა ერთ ჯგუფს სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრებაზე მონაწილეობის მისაღებათ აურჩევია წარმომადგენელი, რომელსაც საწევრო ფული დეპეშით გაუგზავნია პეტერბურგს, მაგრამ წევრათ ჩაწერის დრო დაგვიანებული ყოფილა და უარი უთქვამთ მისთვის.

✦ საჩხერეში ადგილობრივ მასწავლებელთა ჯგუფს განუზრახავს წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გახსნა.

✦ ავიატორი ქებურია ბათომს ჩასულა, სადაც ამ დღეებში იფრენს.

✦ „თფ. ლისტოკი“ სწერს, რომ ქუთაისის პოლიცმეისტრათ თფილისის მაძებარი პოლიციის უფროსი გაგიევი ინიშნებაო.

✦ უკვე დაბრუნდა და ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის ასრულებას შეუდგა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატის თავჯდომარეთ კურსკის ოლქის სასამართლოს თავჯდომარე სმირნოვი ინიშნება.

## მოწერილი ამბავი.

დ. ზესტაფონი. 14 დეკემბერს ადგილობრივს ორ-კლასიან საქალო სასწავლებელში სალიტერატურო საღამო გაიმართა ჩვენი დიდებული მწერლის ალ. ყაზბეგის 20 წლის თავის სახსოვრათ.

შკოლის გამგემ სერაფიმა ჩხაიძის ასულმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო განსვენებულის ბიოგრაფია, სხვადასხვა ქართველ მწერლის აზრი ყაზბეგის შემოქმედებაზე. შემდეგ ამისა მოწაფეები შეუდგენ ქართულისა და რუსული ლექსების წაკითხვას და რუსულ-ქართული სიმღერების ხმას. ბოლოს ცოცხალი სურათები გაიმართა. მიუხედავათ შკოლის სიშორისა და ცუდი ამინდისა, ხალხი ბლომათ დაესწრო და დიდი კმაყოფილიც დარჩა. მადლობის ღირსი არიან თაოსანნი ამ საქმისა, რომელთაც არ დაიზარეს შრომა და სასურველათ შეასრულეს თავისი მოვალეობა. არ იქნება ურიგო, სხვა შკოლებიც მიბაძავდენ ამათ და წელიწადში ერთხელ საბავშო სალიტერატურო საღამოები მართონ, რაც დიდს სარგებლობას მოუტანს როგორც ბოვშებს, აგრეთვე თვით საზოგადოებსაც.

—

შემახა. შემახის ქალაქის თვითმართველობამ 12 ქრისტეშობისთვის სხდომაზე დაადგინა გაგზავნოს პეტერბურგს სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრებაზე დასასწრებლათ შემახის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. მჭედლიძე.

როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, ბ. მჭედლიძეს ოკტომბერში გაუგზავნია სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრების კომიტეტისათვის შემდეგი დასაბუთებული მოხსენება: ა). დიადი მნიშვნელობა სამეურნეო ცოდნისა პირველდაწყებით საზოგადო ხასიათის შკოლებში; ბ.) ფიზიკურისა და ქიმიური მოვლინების პოპულიარული განმარტება პირველდაწყებით შკოლებში; გ). საგანი და სურათი, როგორც საშუალებანი სავარჯიშოთ ბავშის აზრთა ზეპირსა და წერით გამოთქმაში პირველსა და მეორე სწავლააღზრდის საფეხურზე. დ). ყოველს პირველდაწყებით შკოლასთან მეთეოროლოგიური სადგურების დაარსების საჭიროება ხალხში სამეურნეო მეთეოლოგიური ცოდნის გასავრცელებლათ.

იქაური.

# საჭირო განმარტება.

მკითხველი გაზეთებიდან შეიტყობდა, რომ მიმდინარე შავიქვის მრეწველთა კრებაზე ზოგიერთებმა საბჭოს უსაყვედურეს მეჩხერის ქვის ჩამოსაზიდის ერთი მუშის უსამართლოთ დათხოვა. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბ. გალ. ვაშაძემ და საყვედურსაც განსაკუთრებული კილო მისცა. მას შემდეგ რაც ზემოხსენებული მუშა, სახელდობ ბ. ნოე ნუცუბიძე, ადგილიდან დაითხოვეს, გახშირდა კორესპონდენციების ბეჭდვა გაზ. „მერცხალში“, „სიტყვაში“ და „ქინძარში“, სადაც უმთავრესათ მე და ბ. ინჟინერი ბურჯანაძე ვყავდით ნიშანში ამოღებული. თუმცა ჩემს შესახებ იმნაირ წერილებს და იმას, რასაც მე მაწერდენ, ჩემს სიცოცხლეში პირველათ ვკითხულობდი, მაგრამ პასუხის გაცემა მაინც არ მინდოდა, რადგან ეს აღტყინება პირადი უკმაყოფილებით იყო გამოწვეული და არავითარი საზოგადოებრივი ინტერესი და ფასი არ ქონდა. მაგრამ ახლა იმათ, ვინც პრესაში გაილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ, ეს ამბავი მრეწველთა კრების საკამათოდ გახადეს და ამით ამ შემთხვევას საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისცეს, ე. ი. ამით იმათ სურთ დაამტკიცონ, რომ საბჭო და მისი მოსამსახურენი ცალმხრივსა და ტენდენციურ პოლიტიკას აწარმოებენ მუშების მიმართ. და რომ ეს სრულიად უმართებულო ბრალდება გავაქარწყლო და სიმართლე გამოვააშკარაო, გადავსწყვიტე პრესის საშუალებითვე პასუხი გავსცე ბრალმდებლებს.

ზაფხულის გაფიცვებს შემდეგ რო მუშაობა განვაახლეთ, მე როგორც ჩამოსაზიდის გამგემ, შევადგინე მუშაობის წესრიგი, მიღებული პირობების მიხედვით, და გადავეცი მუშებს. თანაც ვსთხოვე ერთად განეხილათ ეს წესები და თუ რაიმე შეცდომა იყო შიგ, მათის აზრით, ჩემთვის შეეტყობინებიათ, რომ შესწორება შეგვეტანა. მართლაც, რამდენსამე დღეს შემდეგ, მოვიდენ ჩემთან მუშების არჩეულები და ჩვენ შორის მოხდა კამათი წესების ზოგიერთი მუხლის შესახებ. კამათის შედეგი ის იყო, რომ მუშებმა, ჩემს ახსნა-განმარტებას შემდეგ, წესები მიიღეს სახელმძღვანელოთ იმ სახით, როგორც მე შევადგინე. სხვათა შორის, წესებში არის მუხლი, რომელიც ავალებს მუშებს სამუშაო დღეზე ზედმეტ მუშაობას, თუ ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, შესაფერი ზედმეტი ქირის მიცემით. ასეთი ზედმეტი მუშაობის მოთხოვნა იმ ხანათ ჩვენთვის აუცილებელი იყო, რადგან ზოგჯერ ჩამოსაშვები ვერა სცლიდა ხვიმირებს, რომ რკინისგზაზე ღამის მუშაობა არ შეფერხებულიყო და მუშებმაც სწორეთ იმიტომ მიიღეს ეს მუხლი სავალდებულოთ, რომ რკინისგზის მუშები არ გამცდარიყვენ და ქირა არ დაკარგოდათ. ასეთი იყო ჩვენი პრინციპიალური შეთანხმება მუშებთან. პრაკტიკულათ კი ასეთი ზედმეტი მუშაობა აქამდი მოხდა მხოლოდ ოთხჯერ და ისიც ერთ შემთხვევაში გაგძელდა 55 წუთს. დანარჩენი დრო იყო 30—20 წუთი თითოეულ შემთხვევაში. ასეთი ზედმეტი მუშაობა მით უფრო არ იყო საძნელო მუშებისათვის, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამოსაშვები ფაკტიურათ მუშაობს საშუალოთ მხოლოდ 6 საათს, ასე რომ სამუშაო დროს განმავლობაში მუშა 2 საათს დასვენებულია. ვიმეორებ, ეს წესები საერთოდ იყო მუშების მიერ მიღებული და დღემდი უცვლელათ ძალაშია.

ერთ დღეს, აგვისტოს დამლევს, როცა ამნაირი ზედმეტი მუშაობა ნახევარი საათით აუცილებელი იყო, ვსთხოვე მუშებს, განეგრძოთ ჩამოსაშვების მოძრაობა. ცოტა ხანს შემდეგ ჩამოსაშვები გაჩერდა და მიზეზი რომ ვიკითხე, მეტორმოზემ მითხრა: „ქვევიდან იძახიან, რომ ნოე ნუცუბიძე უარს ამბობს გადამეტებაზეო“. მე ვსთხოვე გადაეცათ მისთვის, რომ ის ვალდებულია იმუშაოს, და თუ კანონიერების დარღვევას ხედავს, აქ, ეს საკითხი ყველა მუშებთან ერთად უნდა გადაიშინჯოს-მეთქი. გადასცეს ეს ამბავი და პასუხათ მივიღეთ:—„ნუცუბიძემ დემონსტრატიულათ მიატოვა სამუშავერი და წავიდაო“. (მუშების სიტყვებია) მუშაობა არ შეწყვეტილა. მუშებმა მოიხმეს ამხანაგი ზეინკალი და განაგრძეს საქმე. მუშაობის გათავებას შემდეგ, როცა მუშების კითხვაზე ვუპასუხე, რომ იძულებული ვარ ეს ამბავი განყოფილების უფროსს შევატყობინო და მოვითხოვო—ნუცუბიძის, როგორც წესიერებისა და დისციპლინის დარღვევის დათხოვა-მეთქი, მუშებმა მთხოვეს დამეთმო ნუცუბიძის გასამართლება მათთვის. შევთანხმდით და გავუცხადე მათ, რომ ნუცუბიძემ ან ბოდიში უნდა მოიხადოს მათ წინაშე, და ან დაამტკიცოს, რომ ის მართებულათ მოიქცა-მეთქი. დანიშნულ ვადაზე მუშების რწმუნებულმა შემატყობინა შედეგი გასამართლებისა: გამოირკვა, რომ ნუცუბიძემ უსაფუძვლოთ დაარღვია მიღებული წესები და მუშაობაში პირადი ჟინიანობით არევ-დარევა შეიტანა. მუშებმა მოსთხოვეს ბოდიშის მ. ხდა და თავისი შეცთომის აღსარება. მაგრამ ნუცუბიძემ, პირიქით, გაიწვია მუშები სამართალში, როგორც მუშების მიერ მოგებული პირობების დამრღვევნი. ამხანაგებმა, რომ ვერ დაიყოლიეს ბ. ნუცუბიძე, თავისი გულისწყრომა და საყვედური გამოუცხადეს ამხანაგური სოლიდარობის გათელვისათვის. შემატყობიეს ზემოხსენებული მუშებმა და მთხოვეს დაკმაყოფილებულვიყავი ამით და მის წინააღმდეგ ზომები აღარ მიმეღო, მე დავთანხმდი და უფროსთან გამზადებული ქაღალდი დავხიე. გავიდა ამას შემდეგ კვირანახევარი. დანიშნული გვქონდა ჩამოსაზიდის გამოცდა. ამის გამო ზედა სადგურზე მზადება იყო. ქვედა სადგურის მუშები ამ დროს თავისუფალი იყვენ. მე ტელეფონით ვსთხოვე მუშებს, რომ, ვიდრე მოძრაობა დაიწყებოდა, იქვე რკინის გზის ლიანდაგთან დაყრილი ჩვენი მუხის ბოძები თავისუფალ ადგილას მიეტანათ და დაელაგებიათ. ჩემი განკარგულება ყველამ შეასრულა, გარდა ბ. ნუცუბიძისა, რომელმაც ტელეფონით კამათი გამიმართა, მიმტკიცებდა, რომ მისი მოვალეობაა მხოლოდ ჩამოსაშვებზე იმუშაოს და ბოძების, იმავე ჩამოსაშვებისათვის მოტანილი მასალის, ზიდვა კი მის მოვალეობას არ შეადგენდა, თუმცა ბ. ნუცუბიძე, როგორც თვიური მუშა, ჯამაგირს სრულიად იღებდა. ამ გარემოებამ მოთმინებიდან გამომიყვანა და მოსულ უფროსს იქვე ტელეფონით ვსთხოვე ბ. ნუცუბიძის დასჯა.

ამის შესახებ მერე ოფიციალურათ მივსწერე მას და უფროსმაც შემატყობია, რომ ნუცუბიძე დათხოვილია სამუშაოდანო. ამას შემდეგ ასტყდა განგაში როგორც ადგილობრივ, ისე პრესაში. ბატ. ნუცუბიძე და მისი მეგობრები გვლანძღავდენ ყველგან, ბოლოს ბ. ნუცუბიძემ გასამართლება მოითხოვა. ჩვენ ამაზეც დავთანხმდით, და როცა ჭიათურაში არ ვიყავი, სასამართლოც შემდგარიყო ინჟინერი ავდეევის თავჯდომარეობით. სასამართლოს, როგორც ბ. ავდეევმა პირადათ გადმომცა თფილისში, მიელო ყველა ზემოხსენებული მხედველობაში და ბ. ნუცუბიძე გაემტყუნებია.

ყველა ამას შემდეგ გამოდიან ეს ბატონები და გაზეთებში ცუდათ გვიხსენიებენ, გამომდგარა ბ. გალ. ვაშაძე მრეწველთა კრებაზე და ქვეყანას არწმუნებს, რომ საბჭო უსამართლოთ ექცევა მუშებსაო. შეიძლება ბ. ვაშაძეს და მის თანამოაზრეთ, მუშების ინტერესების დაცვის სურვილით გატაცებულთ, არ უნდათ გაარჩიონ ავი კარგისაგან და სამართლიანობა მოსთხოვონ ყველას, ვინც უნდა იყოს იგი. მეც ამას დავიჯერებდი, რომ ამ შემთხვევისავე გვერდით მეორე შემთხვევა არ იყოს, რომლის შესახებაც არ შეიძლება ამ ბატონებმა არაფერი იცოდენ, მაგრამ მის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ.

აი, რა გახლავთ: იმავე დროს სწორეთ ნოე ნუცუბიძესთან ერთად დავითხოვეთ მეორე თვიური მუშა ფარნა სინადაშვილი იმისთვის, რომ ის სუსტი მუშა იყო და ამასთან ჩემს დავალებას არ ასრულებდა. ამას და ნუცუბიძეს ერთ დღეს გავუსწორეთ ანგარიში. მაგრამ აზრათაც არავის მოსვლია გამოსარჩლებოდა სინადაშვილს. თვით ჩამოსაზიდის მუშებიც არ გამოესარჩლენ,— რაც მათთვის უეჭველათ სასაყვედუროა, —თვარა სხვაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. უნდა სიმართლე ვსთქვა, რომ თუმცა ნუცუბიძეს უფრო შეგნებულათ მოაქვს თავი, თვარა სინადაშვილივით ისიც სუსტი მუშაა. დანაშაული კი შეიძლება სინადაშვილს ნაკლები მიუძღოდეს. მაშ რამ გამოიწვია ასეთი შეუფერებელი და მიუტევებელი გულგრილობა „მუშათა ინტერესების დამცველთა“ მხრით ამ შემთხვევაში და საოცარი გულმოდგინება, აღტყინება რამდენიმე თვის განმავლობაში მეორე შემთხვევის გამო? ხომ არ შეიძლებოდა ერთსა და იმავე ადგილზე ერთი (ნუცუბიძე) დაენახოთ და ვერ შეემჩნიოთ მეორე (სინადაშვილი)? დიდი უაზრობაა ასეთი მოქმედება იმისთვის, ვისაც თავის თავზე უდევია მეტათ მძიმე და საპატიო მოვალეობა სამართლიანობისა და ჩაგრულთა დაცვისა! ასეთი ცალმხრივობის მიზეზი კი სულ უბრალოა. საქმე ისაა, რომ ბ. ნუცუბიძეს ქონდა, რუსები რომ იტყვიან—„связи въ сферахъ“—სინადაშვილი კი მოკლებული იყო ამ ბედნიერებას. ამიტომ ნუცუბიძის მეგობრებმა მისი ამბავი და ჩვენი „უსამართლობა“ ქვეყანას მოსდვეს, ხოლო სინადაშვილი კი არის ყარიბათ, ობლათ და ჩაგრულთა დამცველების არწივისებური შორსმჭვრეტელი თვალი და ყოველი ბოროტების მამხილებელი სინიდისი მას ვერა ხედავს! სირცხვილია, სირცხვილი! ამნაირი ცალმხრივობით და მიკერძოებით სახელს უტეხავთ მშრომელი ხალხის მოკეთეებს და მოსარჩლეთ იმ ხალხისავე თვალში და აფიქრებიებთ, რომ სამართალი და გამოსარჩლება მხოლოდ იმათი ხვედრია, ვისაც აქვს „Связи въ сферахъ!“ და თვით ბ. ნუცუბიძეს როგორ არა რცხვენია, რომ თავის შესახებ ქვეყანა აალაპარაკა და მის გვერდითვე დათხოვილი (და მაშასადამე დასჯილი) ამხანაგის შესახებ არა სთქვა რა?!

აი, ამასა ქვია—ჯერ თავო და თავოო. მაგრამ ასეთი ქცევა არ შეფერის იმას, ვინც ყოველდღე ქვეყანას არწმუნებს, რომ ის თავის თავს სხვერპლათა სწირავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, არ შეშვენის მით უფრო ბ. გალ. ვაშაძეს, რომელიც მხოლოდ იმასა ხედავს, რომელიც მასთან ხელიხელ გაყრილი დაიარება და „ამხანაგოს“ ეძახის. მუშათა ინტერესების დამცველისთვის უნდა იყოს ერთი—მუშა, ჩაგრული, იმისდა მიუხედავათ—ვინ არის ის ან მიმართულებით, ან შეგნებით. მაგრამ, როგორც ვატყობ, ეს ბატონები ამ ანბანის შეუსწავლელათ გამოსულან ასპარეზზე, თავს უდვიათ მეტათ პასუხსაგები მოვალეობა.. კარგია განა??.

ჩამოსაზიდის გამგე: ილ. ვარაზაშვილი.

# დღიური.

გერმანიიდან ოსმალეთში ნახევარი მილიონი მაუზერის სისტემის თოფი მიიტანეს.

— საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი მცირე ხნით სტამბოლს მიდის.

— რუმინიაში ებრაელებს არბევენ.

— ოსმალეთის პარლამენტში. სომხებს 18 ადგილი დაუთმეს.

— „ვეჩერნეე ვრემიას“ ცნობით ოსმალები იმუქრებიან—სომხეთა რეფორმების განხორციელება ოთხასი სომხის სიცოცხლეს შეეწირებათ.

— მონღოლეთში რუსეთისადმი უკმაყოფილება ძლიერდება.

— ბულგარეთში სახალხო კრების სესია გაიხსნა. როდესაც კრებაზე მეფე ფერდინანდი შევიდა, სოციალისტმა დეპუტატმა დაუყვირა:—„ძირს მონარქი“!.

— ჩინეთ-გერმანიის ხელშეკრულობას რკინის გზების გაყვანის შესახებ ხელი მოაწერეს.

## ჭიათურის შავიქვის მრეწ. კრება

სხდომა, 20 დეკემბერი.

კრება გაიხსნა დღის პირველ საათზე. მდივანმა კრებას წაუკითხა წინა დღის ოქმი, რომელიც ერთხმათ დაამტკიცეს. თავჯდომარემ კრებას მოახსენა, რადგან ფინანსიურმა კომისიამ მუშაობა ვერ დაასრულა, დღეს მცირე საკითხი გვაქვს გასარჩევი და მისცა წინადადება: კრება ღებულობს თუ არა მირიან ჭანიშვილის წინადადებას, რომ ჭიათურაში იქნეს დაარსებული სამეურნეო სასწავლებელი?

ალ. გამრეკელი წინააღმდეგია ჭიათურაში სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა. რა საჭიროა ჭიათურაში, ვინაიდან ქუთაისში ვაარსებთო.

სიმონ წერეთელი: რაც მირიან ჭანიშვილმა სთქვა, ჩვენ ეს დიდიხანი ვიცოდით და მსჯელობაც გვქონდა ფინანსიურ კომისიაში ამ საგანზე.

სოლომონ წერეთელი: ფინანსიურ კომისიას ქონდა მსჯელობა ამ საგანზე და სურვილიც გამოსთქვა—დაარსდეს შკოლებთან სამეურნეო განყოფილება, მაგრამ ვინაიდან საბჭოს სხვა ბევრი საქმეც აქვს

# ღიმილი.

სიომ ბუჩქებში მიმალულ კუკურს
მოჰჰარა სევდა, მოჰჰარა დარდი,
კოცნით მოზიდა და ლალის ტუჩზე
გადაუფურცლა ღიმილის ვარდი.
ღიმილი უკვდავ სულის სარკეა,
ფრთაშლილ ოცნების ზღაპრული მხარე,
ხან უმანკოა ვით ბავშის სული,
ხან ბოროტების ცეცხლათ მგზნებარე.

ღიმილი შავბნელ ფიქრთა ჩრდილია,
სევდით აღსავსე, უტყვი და მწველი,—
იდუმალ აზრთა ნათელი სახე,
იდუმალ ზრახვათ გამომსახველი.
ხან ისარია გულის გამპობი,
შავ ყორნის ფრთებზე გადანაჭიმი,
ხან სულთან სულის შემაერთებლათ
ტრფობით დაწნული ოცნების სიმი.

ღიმილი დიად მზის ბაგეს მოსწყდა,
შიგ სჩქეფს სიცოცხლე და უკვდავება,
თვით სიყვარულმა ღიმილში პოვა
ხატება სრული და ნეტარება.
ცვალებადია ღიმილის სახე
ცვალებადია მისი ბუნება,
ღიმილში ცოცხლობს უსაზღვრო ვნება,
კმაყოფილება და ცბიერება.

**ცვარ ნამი.**

---

დღესდღეობით განსახორციელებელი და თანხაც არ არის ამისთვის, იქონიონ მხედველობაში და სხვა დროს განახორციელონ. სხდომა, მეორე დღისთვის გადაიდვა.

## ფოთის მუშების წერილი.

(დასასრული იხ. ერი 42-ე №.)

წელს პირველათ მარგანეცის მუშები გაიფიცენ, გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა; შემდეგ სბროიავაკას ხეტყის ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა, ამათაც მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილეს. შემდეგ ამისა რუსის სანავოსნო სავაჭრო საზოგადოების მუშებმა მოახდინეს გაფიცვა ამათაც საჭირო უფლებები მოიპოვეს, თუმცა დიდი ბრძოლა დასჭირდათ. გასული თვის ბოლო რიცხვებში რუსეთის საზ. მუშებიც ეპირებოდენ გაფიცვას; ჩვენ მათივე პარტიის კაცები ს. გ. და ვ. კ. მეიუგზავნეთ და ვსთხოვეთ მიველეთ ამხანაგათ. დავიწყებას მივეცით ყოველგვარი განხეთქილება და იმათ მიერ მრავალგზის დამცირებას ფარდა გადავაფარეთ; ვსთხოვეთ, ეხმარათ კეთილგონიერება და ისევ ამხანაგათ მიველეთ. მაგრამ აქაც ძველი ისტორია გამეორდა: უყურადღებოთ დაგვტოვეს, პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს. საკუთარი ჯიბისთვის-კი დიდს ფაცა-ფუცში იყვენ. საკვირველი ის არის, რომ ეს სიტყვით „სოციალისტები", საქმით შავრაზმელებსაც-კი ბჭარბებენ. გაგზავნეს საკუთარი „აურჯი", ყმაწვილი ნ. ჭ. სოხუმს საზოგადოების რევიზორთან მოსალაპარაკებლათ და ხელშეკრულობის შესადგენათ; ამ პირს საკუთარი ხარჯით აგენტიც კი გააყოლეს, რომ საქმეს შეფერხება არ მისცემოდა და შინაურულათ მოწესრიგებულიყო. მაგრამ ა. მელაძის წყალობით ამ საქმეს შეფერხება შეხვდა. ა. მელაძეს მთავარ კანტორაში (პეტერბურგშია) უთხოვია: სამუშაო მე გადმომეცით დაკლებული ფასებითო. იმ დროს რევიზორს ჩვენც გავუგზავნეთ დეპეში და ვსთხოვეთ, არ აჩქარებულიყო და საქმე ადგილობრივ მოეწესრიგებია; დეპეშში კრინტიც არ იყო დაძრული ფასების დაკლების შესახებ, რადგან, კიდევ ვიმეორებთ, ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით კონკურენციისა და ფას დაკლებით სამუშავერის აღებისა. ყოველთვის მოსურნე ვიყავით მორიგებით საქმის დაბოლოებისა და ამ მიზნით მივმართეთ სხვა დარგის მუშებსაც და ვსთხოვეთ შევეთანხმებიეთ ხონელთ მუშები გურულ მუშებთან საერთო სამუშავერში. სხვა დარგის მუშების წარმომადგენლებმა სამედიატორო სამართალი გვირჩიეს; ჩვენც დავთანხმდით, გავუგზავნეთ კაცები და დავასახელეთ მედიატორებათ ფოთში ცნობილი პირები: მასწ. ნ. ჩხენკელი და ლადო გეგეჭკორი. მაგრამ სხვა ფრით რომ ვერას გახდენ, დაგვიწუნეს მედიატორები; პირველის შესახებ არა უთქვამთ-რა, ისე, საერთოდ დაიწუნეს; ხოლო ლადო გეგეჭკორს ცოდვათ ის ჩაუთვალეს, რომ იგი ღვდლის შვილია. ნ. ჩხენკელისა და ლადო გეგეჭკორის კეთილსინიდისიერებაში, სწორკაცობასა და ჭეშმარიტ დემოკრატობაში ეჭვი არვის შეეპარება, მაგრამ ეს იმიტომ ჩაიდინეს, რომ ხსენებული პირები მოწინააღმდეგე ბანაკიდან არიან.

ახლა ორიოდე სიტყვა ბ. კორესპონდენტსაც. მან დეპეშში შტრეიკბეხერები გვიწოდა. ჩვენ მრავალჯერ გვქონდა შემთხვევა გადაქცეულვიყავით შტრეიკბეხერებათ და სხვა მუშებისათვის სამუშაო წაგვერთმია. მაგალითები გნებავთ? ინებეთ: პირველი—მარგანეცის გადამზიდავ მუშათა არტელის გაფიცვის დროს: მეორე—სბროიავაკას ხეტყის ქარხანაში მომუშავეთა გაფიცვის დროს; მესამე—რუსის საზოგადოებაში მომუშავეთა გაფიცვის დროს. ხოლო, არათუ ვშტრეიკბეხერობდით, სხვებსაც ხელს ვუშლიდით-შეებლალათ მუშათა ინტერესი. ამის მაგალითიც:—რუსის საზოგადოების მუშათა არტელის გაფიცვის დროს აგენტმა იუზბაშმა დეპეშით გამოიწვია ყოფილი როსიის მოიჯარადრე ა. მელაძე —ეს მანასე „ხან თქვენია, ხან სხვისია" --მაგრამ ჩვენ, ხონელმა მუშებმა, ვაიძულეთ ა. მელაძე,—უარი ეთქვა დაკლებული. ფასებით ხელშეკრულობის შედგენაზე და უკანვე გაბრუნებულიყო. ამასა და სხვა მოყვანილ ფაქტებს, სადაც გნებავთ, და როდესაც გნებავთ, უტყუარი საბუთებით და მრავალი მოწმებით დაგიმტკიცებთ სწორეთ ეს გვიკვირს, რატომ თქვენთან და არა სხვებთან გავხდით ჩვენ შტრეიკბეხერები? მაგრამ, „როგორიც ერი, ისეთი ბერიო", ნათქვამია, და როგორც თვითონ არიან, კორესპონდენტიც ისეთი ყავთ, თვარა ნუთუ სიმართლეს ვერ გამოიძევდა იგი!?

კორესპონდენტის თავხედობამ იმ ზომამდი მიაწია, რომ ყოვლად უმიზეზოთ ქურდი და ამხანაგების მყლეფელი გვიწოდა. ბევრიც ეცადონ, ვერ დაამტკიცებენ ისინი ამას ჩვენს შესახებ. ჩვენ-კი იმათ შესახებ ბევრი რამ ვიცით მრავალ ფაქტს შორის მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ:

პირველი: დანამდვილებით ვიცით—ამის მოწმეებიცაა, რომ უმცირესობა მათგანი ამუშავებდა მეორე უმცირესობას, დამონავებულ მუშებს ნაკლები ფასებით და გადაპარულ ფულს ერთმანეთში იყოფდენ.

მეორე: გ. ხ—მ, რომელიც დღეს იმათ მეთაურათ ითვლება, საქუდე ტყავები მოიპარა კანტორის საწყობიდან.

მესამე: ე. ჯ—მ ნაცრისფერი პალტო —ეს ნამდვილათ ჩვენვე ვნახეთ—მოიპარა საწყობიდან და თავის სიმავრს ფეშქაშათ მიართვა.

მეოთხე ა. მ—მ მოიპარა საწყობიდან სხვა ნივთებთან ერთად პალტოც, რომელიც არ წვდებოდა; ა. ბ., ს. შ. და ს. ე. დაამტკიცებენ ამას, რადგან ხსენებული პირები დაედევნენ და უნდოდათ წაერთმიათ საქონელი.

მეხუთე: ს. მ—მ მოიპარა ტყავები, შეუტყვეს, უნახეს და გაკიცხეს; ადგილიდან არ დაუთხოვიათ პირიქით გაყიდვის უფლებაც მისცეს. დღეს იგი უადგილოთ არის.

მეექვსე: გ. ჟ. არ იყო მდინარე რიონში რომ გყავდათ ჩაბმული ქურდობის თაობაზე?!

მეშვიდე: ი. მ. ადგილების ყიდვა-გაყიდვის საქმეს აწარმოებდა; იაფათ ყიდულობდა, ძვირათ-კი ყიდდა. დღეს-კი ის იმათი კომისიის წევრია და პატიოსანთა რიცხვში სწერია.

მერვე... მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა; დანარჩენიც შემდეგ, თუ საჭიროებამ მოიტანა.

არცერთი ზემოხსენებულ ქურდთაგანი ხონელი არ არის; ყველა იმათია და მათთვისვე დაგვილოცნია! ხონელი მუშების მონდობილობით.

მუშები:
1) ეზეკია კვინცარიძე.
2) ლავრენტი მელაძე.
3) არსენ ბარაბაძე.
4) სილიბისტრო ეფრემიძე.

## „ქალწული".

როდესაც ახალი ბოქაული ჩამოვიდა, მთელს სოფელში ხმა გავრცელდა—ქრთამის აღება არ უყვარსო.

ამ ამბავმა მეტათ შეაწუხა ზოგიერთი ვაჭარი, სოფლის მამასახლისი, რომლის ქისასაც „უძიროს" ეძახოდენ და ყველაზე უფრო კი საბოქაულო კანცელარიის გამგე სოფრონე დაადონა. სოფრონეს უქრთამოთ ცხოვრება ისე არ შეეძლო, როგორც თევზს უწყლოთ.

თვე გადიოდა და ბოქაული თავის საქმეს ბეჯითად უძღვებოდა. სოფელში მას მეტს ხელათ „ქალწული" უწოდეს.

სოფრონეს მოთმინებამ ფიალა აავსო და ერთს მშვენიერ დღეს დიდ ფიქრს შემდეგ ზოსიმესთან წავიდა.

ზოსიმე მანჯურიაში ნამყოფი იყო და ახლა რაღაც საეჭვო საქმეებით ცხოვრობდა. ერთ ყურეგელს ცხრა ტყავს აძრობსო—ამბობდენ მასზე სოფელში.

— ზოსიმე შენთვის ბევრი სამსახური გამიწევია, და ახლა მაგიერი გადამიხადე!—შეეხვეწა სოფრონე.

— რა გინდა, ჩემო სულის მალამო?—კითხა ზოსიმემ.

სოფრონემ საქმის ვითარება დაწვრილებით გააცნო. ზოსიმე ჩაფიქრდა... მერე სთქვა:

— შეიძლება! საქმე არც ისე ძნელია. შენ ოცდახუთი მანეთი მომეცი და მერე მიდი ბოქაულთან და მაბეზღე, უთხარი—სოციალისტია, საეჭვო კაცია ზოსიმე, უნდა გადავასახლოთ-თქო. მეც მივალ და იმ ოცდახუთიანს ხელში ისე შევაცოცებ, თითონაც ვერ გაიგოს."

სოფრონეს სახეზე სიხარულის ჟღრდი გადაიშალა, ოცდახუთი მანეთი დაუთვალა და ბოქაულისკენ გასწია.

— დაუძახეთ ახლავე ზოსიმეს! იყვირა ბოქაულმა, როცა მწერლის მოხსენება მოისმინა.

ზოსიმეც მალე გაჩნდა საბოქაულოში.

— შენ სოციალისტი ხარ?!—მიახალა ბოქაულმა ზოსიმეს.

— რას ბძანებ, ბატონო?—მიუგო კრავივით ზოსიმემ.

— რამდენიმე წერილი მივიღე, სადაც მწერენ, რომ შენი ამ საზოგადოებაში ყოფნა საშიშია!

— რას ბძანებ, ბატონო, მე თუ სოციალისტი ვარ, თქვენ ანარქისტი ყოფილხარ! თქვე დალოცვილო, ცხრაას ხუთში, როდესაც სახლის საძირკვლებიც კი წელში გაიმართა და ხელში წითელი ბაირაღიააფრიალეს, მე სიტყვა არ მითქვამს, და ახლა რაღა ღმერთი გამიწყრებოდა!

— მაშ ტყუილია?—

— სრული ჭორია, ბატონო ბოქაულო; რას ბძანებთ, თქვენი ჭირიმე, თქვენს მოადგილეს ისე ვუყვარდი, რომ სიზმარშიც ჩემს სახელს აბოდებდა.. გაჭივრების დროს, სულ მასთან ვტრიალობდი. მოგეხსენებათ—ბოქაულის ჯამაგირი რა მცირეა, ბატონო „პატიოსნათ" ახლა ვინ ცხოვრობს?!

— შენ რას მელაპარაკები?

— არაფერს თქვენი ჭირიმე... აი, ახლა თუნდაც ჩემი საქმე; შეგაწუხეს, თავი შეგაზარეს და ამისთვის ცოტა რამე განა არ გერგება? მე მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს... ახლა რო სხვანაირათ მოვიქცე, ეს თქვენი მოადგილის ხსოვნის შეურაცყოფა იქნება!—უთხრა ზოსიმემ ბოქაულს და ჯიბეში ოცდახუთი მანეთი ჩუდვა. ბოქაულმა ჯერ იუარა, მაგრამ ზოსიმემ „ძალათ" მისცა და გამოვიდა.

— შერჩა ქალწულობა?—ჩუმათ დაეკითხა სოფრონე გამოსულ ზოსიმეს.

— დაკარგა!—მხიარულათ მიაძახა ზოსიმემ. სოფრონეს წარბებს შუა შვება გათენდა.

**ჯ. ჯორჯიკია.**

## პატარა ფელეტონი.

### ბიურო.

—რამდენსამე მარჯვესა და მოხერხებულ მანდილოსანს დაუარსებიათ ბიურო და მიზნათ დაუსახავთ ადგილი უშოვონ უადგილოებს, სადაც კი მოხერხდება კერძო, საზოგადოებრივსა თუ სახაზინო დაწესებულებაში.

„ერი" № 39.

I

ერთხელ მხოლოდ, ისიც ცხადათ,
ქუთაისში ვნახე კრება...
(ღმერთს ვფიცავარ მოგონება
ჩემში მათი არ გაქრება).
ტახტზე იჯდა ბანოვანი,
(ტანით სხვილი, ხმით კი კნავა)
ტუჩიდას და თვალდაპრუწულს
ცოტა მოსქო ქონდა*)...
მარჯვნით უდგა ერთი ვინმე
და დაელო უშნოთ ხახა;
(თავჯდომარეს ღირსეული
„სეკრეტარიც" მოენახა!)
მარცხნით კიდევ „მოყმე ვინმე",
ვის არ უჩნდა სიგძე, განი,
(მგონი, უნდა ყოფილიყო
იგი კრების თარჯიმანი).
ცალცალკე და ყველა ერთად
თაიგული იყო უცხო,
(ცუდს ვერ ვიტყვი მე იმათზე,
მომძახოთ თუნდა უცხვო!").

II.

რა გაიხსნა კრება, მყისვე
ვიღაც იხმო თავჯდომარემ,
(თუ მას ქალის სახე ქონდეს,
მე გამისკდეს მიწა ბარემ!)
და მიმართა:—მითხარ, ძმაო,
ხომ არ გიყვარს თეთრი ღვინო?
(ამ კითხვაზე ოდნავ შეკრთა
კანდიდატი სახაზინო!)
—ვერ მივიღებთ ადამიანს,
წარა მარა ღვინოს რო სვამს,
ღვინის სმა ვერ ეგუება
„უსტავს" ჩვენი „ბიუროსას!"
სახაზინო კანდიდატმა
გააქნია თავი მწარეთ...
ჯერ დაფიქრდა... და მერე კი
მოინება წასვლა გარეთ...
იქ მოისვა ჯიბეს ხელი,
ასიანი დაამზადა...
(რა იცოდა იმ წყეულმა
მანდილოსნის ხარბი მადა?)
შემობრუნდა და გადასცა
მანდილოსანს „რაღაც" მგონი...
მანაც ნაზათ გაიღიმა..
(ფულს მოუკვდეს გამომგონი!)
დაავიწყდა თავჯდომარეს
უსტავი და თეთრი ღვინო
და იმედით გაისტუმრა
კანდიდატი სახაზინო!...

III.

როგორც მითხრეს, მეორე დღეს
ყიდულობდა ვიღაც „ბუას",
(ღმერთო, რა არ შეუძლია
ასიანს და ქალის ჭკუას!)
კანდიდატი კი ამ ჟამათ
უკვე „სტოლონაჩალნიკობს"
და ყვითელი „კაკარდებით"
მკერდს, კისერს და ქუდსაც იმკობს...

**უზარდია.**

## კვირიკე.

გუშინ ვინმე „არა მრეწველი" გამომდგარიყო ჩვენს გაზეთში და დასელებს საყვედურს უწერდა: ვინც კი რჩეული ყოფილა და ახლა არის ჩვენში, ყველას კბენთო—ეს აზრიც გამოდიოდა მისი წერილიდან.

ახირებული ხალხი ვართ! რატომ გვავიწყდება მოიგავარაკე კრილოვის ხშირათ ნათქვამი ლომსა და ფინიაზე, ხარსა და ბუზზე, დათვსა და ჯინჭველაზე და მისთანებზე. პატარა კაცუნა, ბოლოჭია, ბუზანკალა, მწერი დიდს ვისმე იმიტომ კი არ მიეტმაუჭება და აეტმასნ-აეტორღიალება, რო რამე დააკლოს... თავისი უძლურობისა და კუდაბზიკობის ამბავი ძაან კარგათ იცის, მარა ჭირიანი ყვინჩილებივით მისთვის მოქმედობენ ისე, რო „ჩვენცა ვართო"—ამის თქმის უფლება ქონდეთ. ეს უაღრესი სიმახინჯეა მათი ფათერითი იმ თავიდანვე დღეს აქამომდი და ამ ხაზს მისდევენ, მისდევენ ჯინჯველებისგან/ გატკეპნილი გზისა არ იყოს.

ამნაირათ [illegible] ფილიპემ და [illegible] მეტის [illegible] რჩეულთა [illegible] ბიან.

ბევრჯერ მითქვამს და კიდეც ვიტყვი: ამ ბუზანკლებთან დინჯი და საქმიანი დავა-კამათი დამცირების მეტი არაფერია. ჩვენ რომ იმ თავითვე იმათ აჭიაბაჭიებზე მელანი არ გვეხარჯა და კალამი არ გვეცვითა, ბევრ წილათ აჯობებდა. სახელი გავუთქვით, სათავეშივე ჯებირი ვერ ჩავუდგით და ახლა ქვე იძახიან:—ჩვენც ვხნავთო!

მათი ტვინის ნაწაფარსა და ნაცოდვილებს ჩვენიანებზე მე „ვანდალიზმს" კი არ დავარქმევ—ტუტუციზმს. აჰაზე კამათს როგორ გავუბამ და ასეთ სიმახინჯეზე პასუხს როგორ ვაღირსებ...

საწყალი კალამი, საცოდავი მელანი, უბედური ქაღალდი, საბრალო ასოთამწყობი და დაქცეული, ამობოლოკებული მკითხველი ასეთი მახინჯი კალმოსნების ხელში, ვინც სწერენ მარტო მხოლოდ წერის პროცესის ეინის მოსაკლავათ...

და კვლავ ვიტყვი—ჩვენა და ჩვენიანებს „ლამაზ სიტყვებსა" რას მოგვაკლებენ, როცა ერთმანეთს ისეთი ლათაიებით უმასპინძლდებიან, რომ ყურებში თითი უნდა დაიცვა. წაიკითხეთ „ბოლშევიკებისა" და „მენშევიკების" შეტაკების ამბავი. ერთი მეორეს კალმის „მაშენიკებსაც" კი ეძახის... ჩვენც, რა დაგვრჩენია, უნდა დავეთანხმოთ:—მათიანი რომელი რა შვილია, იმათ უფრო კარგათ არ იციან! უნდა დავეთანხმოთ... ორი ჭირიანი ყვინჩილა ერთმანეთს დაეტაკა! „ურჩნი მიუშვათ ნებასა—შეეყრებიან სნებასა". ეს სნება არც უმისოთ აკლიათ. ჩვენ განზე გავდგეთ და შევულოცოთ: წამკიდებელო წაკიდე—ორივეს თავი წასწყვიტე.

**კვირიკე.**

## 20 დეკემბრის საღამო.

ოც დეკემბერს ქუთაისის ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ საღამო გაიმართა. საღამოს დიასახლისობდა ელენე ჩიქოვანისა. ასეთი საღამოები ტრადიციულათ გადაიქცა დიდიხანია თფილისსა და ქუთაისში. თფილისში ყოველ წელს ექვს იანვარს იმართება და ეწოდება სააზნაურო ბალი. აქ ყოველწლობით თავს იყრის თავადაზნაურთა წრეების წარმომადგენელნი. ასე იყო ქუთაისშიც ოდესღაც, მაგრამ გუშინწინ კი გარკვევით შევამჩნევდით, რომ ყველაზე ნაკლებათ თავადაზნაურობა ჩანდა. საღამოზე არ იყო არცერთი წინამძღოლი. საღამოს პროგრამა სამწუხაროთ ვერ იყო მოხდენილათ შედგენილი. არასასურველი შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებაზე, ბოშათა ბანაკში, ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულიდან" მეფანდურის გამოყვანამ. არ ვიცით, რათ დასჭირდათ ეს საღამოს მომწყობთ. ამ პოემის წინასიტყვაობა, რომელსაც ბ. მგალობლიშვილი კითხულობდა, ყველა დაგვეთანხმება, რომ მხიარულის ჟანრის არ არის. დასასრულ ერთი უნდა შევნიშნოთ, ყველა ჩვენი საღამოების გამართველთ:—რათ ეწევიან ასე უზომო ხარჯს სარაჯიშვილის მოსაწვევათ. საზოგადოება ამ საღამოზე დადის საქველმოქმედო მიზნით და არა ამ მომღერალის ორიოოდე რომანის მოსასმენათ.

## რუსეთი

**კრება.** პეტერბურგში პროფესორ ჩუბინსკის თავჯდომარეობით მოხდა სლავიანოფილთა კრება. კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, სადაც სანდერსას მისიისა და სომხეთა რეფორმების საქმეში რუსეთის დიპლომატიას კიცხავს.

**მუშათა დაზღვევის საქმე.** პეტერბურგში ბლიკმენისა და რობინზონის ქარხნის მუშების რწმუნებულებმა მოსთხოვეს ქარხნის ადმინისტრაციას მუშათა დაზღვევის შესახებ ლიტერატურის მუშებში უფასოთ დარიგება. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშებს სწრაფი პასუხი არ მისცა რის გამოც მუშებმა დაადგინეს განსაზღვრულ დროს შემდეგ არ იმუშაონ. ერთი რწმუნებული დააპატიმრეს და შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. ქარხანაში სულ 1000 მუშა მუშაობს.

**დაჯარიმება.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა გაფიცვის სასარგებლოთ აგიტაციის გაწევის გამო მუშები ჟუკოვსკი და სერგეევი ასი მანეთით დაჯარიმა. თუ

(* და ამ სიტყვის ხსენებაზე, გგრძნობ, ასკეტი კარში გავა!..

სავაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ამ—გის**
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **სადარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли). რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კალენდრები. ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).
კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.

27-6 31 დეკემ. გაიყიდება წვრილათ ყოველნაირი კონფეტები დაკლებულ ფასებში.



დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,

ლოღებს ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ისატაკზე ხაფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მცირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


ჯარიმას არ გადაიხდიან, ერთი თვით ციხეში უნდა ჩაჯდენ.

**დოსტაქართა კრება.** პეტერბურგში 17 დეკემბერს გაიხსნა სრულიად რუსეთის დოსტაქართა 13-ე კრება. აირჩიეს კრების თავჯდომარე, მისი ამხანაგი და მდივანი. უკვე დაიწყეს სხვადასხვა მოხსენების კითხვა.

**ჩხრეკა.** პეტერბურგში 15 დეკემბერს ნოქარი შიშკოვის ბინა გაჩხრიკეს. ნახეს მიწერ-მოწერის ქაღალდები, ფოტოგრაფიული სურათები და წიგნები.

**პანაშვიდის აკრძალვა.** კოსტრომის გუბერნატორმა საქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრთ აუკრძალა სათათბიროს ყოფილის წევრის შულენიკოვის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდის გადახდა.

## უცხოეთი

**ჩინეთის ბიუჯეტი.** ჩინეთის ფინ. მინისტრის გამოანგარიშებით 1914 წ. სახელმწიფო შემოსავალი 460 მილიონი ტაელი იქნება. წინა წელს კი შემოსავალი 300 მილიონ ტაელს არ აღემატებოდა. მამულზე დადებული გადასახადისაგან შემოსავალი ნაანგარიშებია 84 მილიონი ტაელი, მარილის მონოპოლიიდან 80 მილიონი, საზღვაო საბაჟოთა გადასახადისაგან 100 მილიონი, საკუთრებაზე დადებული გადასახადისაგან 13 მილიონი, ბინებზე—15 მილიონი, თუთუნსა და ღვინოზე—15 მილიონი და სხვა. 1914 წელს ჩვეულებრივი ხარჯი იქნება 410 მილიონი ტაელი, საგანგებო კი 515 მილიონი, სულ 925 მილიონი. ასე ამრიგათ 1914 წლის დეფიციტი 519 ტაელს უდრის.

**სამხედრო ბეგარა.** ოსმალეთის მთავრობამ სამხედრო—ბეგრის შესახებ ახალი კანონპროექტი შეიმუშავა. ამ კანონპროექტის ძალით არა მამადიანები განსაზღვრული გადასახადის გადახდას შემდეგ სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლდებიან. პორტა კანონპროექტს განსახილველათ გერმანიის სამხედრო მისიას წარუდგენს.

**რუსეთის სესხი.** რუსეთის მთავრობა საფრანგეთის მთავრობას სესხის აღების საქმეში შეუთანხმდა. რუსეთი რკინის გზის საჭიროებისათვის სესხათ 2½ მილიარდ ფრანკს იღებს.

**სოციალდემოკრატი და იმპერატორი.** გერმანიის სოციალდემოკრატთა მართველ წრეებში ერთმა შემთხვევამ დიდი აღელვება გამოიწვია: იმპერატორმა ვილჰელმმა ბავარიის სატახტო ქალაქი მიუნხენი ინახულა. იმპერატორს ქალაქის თვითმართველობამ რატუშის დარბაზში რაუტი გაუმართა, სადაც დაესწრო გერმანიისა და ბავარიის სამეფო ამალა. ქალაქის მოურავმა მეფესა და დედოფალს ქალაქის ცნობილი მოღვაწეები წარუდგინა და მათ შორის სოციალდემოკრატი ვიტი. დედოფალი დიდხანს ესაუბრა ვიტის, ხოლო მეფე გამომშვიდობებისას შეეკითხა: თქვენ აქ მუნიციპალიტეტში მუშაობთო? ვილჰელმ მეორეს კიდევ მეორეთ უნდოდა ესაუბრა ვიტისთან, მაგრამ ამ დროს ქალაქის მოურავმა სხვა პირი წარუდგინა. სოციალდემოკრატი ვიტი იძულებული შეიქნა მეფეს მოციլებოდა. ამ ამბავმა ძალიან გააბრაზა გერმანიის სოციალდემოკრატთა ორგანო. პარტიის პრინციპისა და ტაქტიკის გამო, ვიტის თავი უნდა შეეკავებია და მონარქს პირადათ არ უნდა წარსდგომოდა, ვინაიდან ის არა ერთჯერ წასულა სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ.

**ებრაელები რუმინიაში.** ბუქარესტის მახლობლათ იასში ებრაელთა საწინააღმდეგო არეულობა კვლავ ხდება. სოციალდემოკრატთა კრებაზე მოინდომეს სტუდენტ-ნაციონალისტებმა დარბაზში შეჭრა, მაგრამ ვერ მოახერხეს, სტუდენტებმა ცემა დაუწყეს კრებაზე დაგვიანებულ მიმსვლელთ.

## † გიორგი ქლენტი.

ნისლიანმა პეტერბურგმა იმსხვერპლა კიდევ ერთი საიმედო ახალგაზდა, გიორგი ქლენტი. იგი, ვისი გულიც მუდამ საბრძოლათ იწვევდა, ახლა გულზე ხელდაკრეფილია, მახვილი ენა დადუმდა; ფხიზელი გონება აღარ მოქმედობს...

განსვენებული ჯერ კიდევ საშვალო სასწავლებელში გატაცებული იყო ყოველივე ქართულით, როგორი თავგამოდებით ეკამათებოდა იგი ამხანაგებს ეროვნულ თუ სხვა ჩვენ საჭირბოროტო საკითხებზე... მუდამ მომქმედსა და მკვირცხლს ყველაფერში სიცოცხლე შექონდა. შარშან რეალურ სასწავლებელში გამართულ საღამოზე ისე გრძნობიერათ წაიკითხა თავისი ლექსი, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. განსვენებულმა ანტონ ფურცელაძემ და ბევრმა სხვამაც მაშინ პირადათ მიულოცეს...

წელს დასრულმა რეალური სასწავლებელი და მომავლის იმედის შემაცქერალი პეტერბურგისაკენ გამოემართა. ბევრს მოველოდით მისაგან ამხანაგები, მაგრამ განგება სხვანაირათ სჯიდა. ჩრდილოეთის სუსხი ვერ აიტანა სამხრეთის ყვავილმა და დასჭკნა...

უდროოთ გიღო შენთვის სამარის კარი, მეგობარო, მაგრამ მთლათ ვერ მოგვტაცებს იგი შენს თავს: ამხანაგებისთვის უკვდავი იქნება შენი ხსოვნა.

ალ. ცირეკიძე.

13 დეკემბერი, პეტერბურგი.

## შიმშილობა რაჭაში.

ამას წინათ „სახალხო გაზეთში“ ამოვიკითხე გაზეთი „კავკაზიდან“ გადმობეჭდილი ცნობები საქართველოში შიმშილობის შესახებ. სხვათა შორის, წერილში ნათქვამი იყო: „დიდი მოუსავლობაა რაჭაში, მაგრამ არც რაჭველებს გაუჭირდებათ, რადგან სხვადასხვა გარეშე შემოსავალი აქვთ“. „კავკაზი“ ლეჩხუმის მაზრაზეც ასევე სწერს: „ლეჩხუმის მაზრაშიც არ იმარება მოსავალი, მაგრამ აქაც საჭირო არ არის დახმარებაო, და ასე სხვა მაზრებზეც. მომაგონდა ერთი სასაცილო ამბავი: ერთ სახელმწიფოში შიმშილობა იყო თურმე. ნაზირ ვეზირებმა გაგზავნეს კაცი სოფელში, რათა შეეტყო ნამდვილი ამბავი. წასული კაცი მიადგა ერთ გლეხს და კითხა: ხომ არა გშიათ, პური გაქვთ თუ არა სახლშიო. გლეხმა მიუგო: მაქვს ერთი პური, ამ პურის ამარა ვართ მთელი ოჯახი, მერე კი საშინელი შიმშილი გველისო. გლეხმა პური გამოუტანა და აჩვენა. გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და ვეზირებს მოახსენა: ტყუილი ყოფილა, ვითომც სოფელი დამშეული იყოს მავადექი ერთ გლეხს, რომელმაც უშველებელი პური მაჩვენა. ჩანს, კაი მოსავალი ყოფილა წელს, რომ ამხელა პური მოუსხამს ჯეჯილსო...

გაზეთ „კავკაზს“ რომ დავუჯეროთ, ყოველი მაზრა კარგათ გაიტანს თავს. სხვა მაზრებისა რა მოგახსენოთ, რაჭა-ლეჩხუმზე კი შემიძლია უტყუარი ცნობა ვსთქვა.

ამ ორ მაზრას, ძალიან კარგი მოსავლიანი წელიწადიც როცაა, მაშინაც უჭირს თავის გამოკვება. წელსაც, ვისაც თითო სასიმინდე სიმიდი მოსდიოდა, ერთი გოდორიც არ ჩაუყრია ნალიაში. ვსთქვათ, თუ გინდა, ბევრი ფულიც იყოს ამ ორ მაზრაში, რათ უნდა, როგორ მოიხმარონ? გზა ჩვენ არა გვაქვს და კვალი. ხშირათ სამი ოთხი თვე შეკრული ვართ, ჩაკეტილი თოვლით, არსაიდან ალაფის შემოტანა აღარ შეიძლება. წელსაც ასე გვჭირს: გზები შეიკრა და მიმოსვლა შეწყვეტილია. დამშეული ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა, არ იციან რა ქნან. მიმდინარე წელიწადისთანა ნავსიანი წელიწადი დიდიხანია არ ყოფილა. კოდი (ორი ფუთია) სიმიდი ოთხ მანეთადაა.

ვანო ჭიჭინაძე.

## დაბა-სოფლები.

**ს. კურსები** (ოკრიბა). 15 ქრისტეშობისთვეს წრევანდელი მოუსავლობის გამო იყო გამოწვეული ს. კურსებში, ადგილობრივ ბოქაულთან, ოკრიბის მხრის მამასახლისები და ყველა სოფლიდან ორ-სამი კაცი. მამასახლისებისა და ამორჩეული პირების გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ ყველა საზოგადოებას ეჭირვება დახმარება და საერთოდ მთელ მხარეს, წრევანდელი მოსავალი როგ თანასწორათ გაუნაწილდეს მცხოვრებთ, ეგებ თებერვლის დამლევამდი ეყოსთ. ბევრია ისეთიც, ვინც ახლა უკვე ყიდულობს სიმიდს და ჩალასაც საქონლისათვის. ბოქაული შეკითხვია ხალხს: გინდათ თუ არა დახმარება მთავრობიდანო? ხალხს ერთხმათ უპასუხია, დახმარება გვინდა აუცილებლათ, მაგრამ მთავრობიდან ვერ მივიღებთ, რადგან გადახდა რომ დროზე ვერ შევიძლოთ, დარაჯებს უნდა ჩავუვარდეთ ხელში და დაგვარბიონო... ისევ, როგორც იქნება, ჩვენ თავს გავიტანთ, ვისესხებთ ან ვიყიდით და ჩემი მეზობლის ვალი გვირჩევნიაო. აგრეთვე გამოსთქვეს სურვილი—თუ შეიძლება, ჩვენი ქვეყნიდან სიმიდი არ გაიგზავნოს საზღვარგარეთ, რომ არ გაძვირდესო. ეს იქნებოდა ნამდვილი დახმარებაო.

დემნი.

—

**ს. საირმე.** რამდენიმე წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ერთმა მონადირეთაგანმა აღმოაჩინა „საირმეს ხეობაში“ „მჟავე წყალი“ (Щелочно-углекислая желѣлезная вода) და მას შემდეგ ამ ხეობას ხალხი ბლომათ ეტანება.

„საირმეს ხეობა“ იმყოფება ბაღდადის ნაწილში, სამხრეთ-დასავლეთით, თითქმის 32 ვერსის მანძილე ბაღდადიდან. გზა მისდევს ჯერ ქუთაის-აბასთუმნის შარას, მერე შეუხვევს მარჯვნით სოფ. წაბლარასხევში და მისდევს „მჟავე წყლამდი,“ მდ. წაბლარასხევის ორსავე პირს, ულრანს გაუვალ ტყეში. ისნაწილი გზისა, რომელიც გაიკლის „ალექსანდროვსკას“ მამულში ცოტაოდენ შეკეთებულია და ამიტომ მგზავრობა 12 ვერსის მანძილზე ბაღდადიდან უფრო ადვილია, შემდეგ, რაკი გზა გადავა ხაზინის, ანუ ერისთვის მამულში, გზა ძლიერ ძნელი სავალია, რადგან კაცის ხელს იქ არ უშრომია გზის გასაუმჯობესებლათ. ბოლოს მიატანს გზა ერთს ღრმა ხეობაში, სადაც ორ-სამ დესეტინამდი დაცემული ვაკე აკრავს. აი, ამ ვაკეზე, რომელსაც ირგვლივ აშვენებს ნაძვნარი და სხვადასხვა ორ ადგილს ამოქუხს „მჟავე წყალი“. მდებარეობა ვაკეა და შუაზე მდ. წაბლარასხევი ჩაუდის. გაღმა-გამოღმა დაბალი, ნაძვებით შემოსილი გორაკებია. ვაკეც დაფარულია ვეებერთელა ხეტყით, და ნაძვნარით. მდებარეობა, სადაც სასმელი „წყაროები“ ამოქუხს, საუცხოო სანავია თავისი ულრანი ხევებით, ვეებერთელა ხეტყით, ფიჭვ-ნაძვნარით, და სავარგისია საამარაკოთ. წყალი კარგი ღირსებისაა. არის ორნაირი: მეტ რკინა ნარევი და ზომიერ რკინა ნარევი. გამოცდილი პირების დამოწმებით, და ადრე აქიმების დამოწმებიდანაც ჩანს, რომ „მჟავე წყალი“ რაჭის (ეწერის) „მჟავე წყალს“ არ ჩამოუვარდება, სჯობნის კიდეც რამდენიმე თვისებით, დამაბრკოლებელი მიზეზი მხოლოდ მიუდგომლობა, უგზოობაა, თვარა ვინ იცის, რომ მალე ეს ადგილი ბორჯომის ხეობას დაემზგავსება. სასურველია, ვინმე ამ ადგილს ყურადღებას მიაქცევდეს, ყოველივე დამაბრკოლებელ მიზეზს ფულით გადათელავს გზას მიიყვანს და ბოლოს სასყიდელსაც კარგს აიღებდა....

მიხა სვირელი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


# ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

### თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12½ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძუს შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.



# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინაბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65



ა ქ ც ი ო ნ ე რ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.

ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**

იზმაილოვის პროსპ. № 27.

პარიზი 1900 ო ქ რ ო ს მ ე დ ლ ე ბ ი თ ნიჟნ-ნოვგ.

ХИМИЧЕСКАЯ С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ. ЗАЯВЛЕНО ДЕПАРТАМЕНТУ ТОРГОВЛИ И МАНУФАКТУРЪ

# Beaute duteint

გლიცერინის რძე—ისრის რძე.

საუცხოოთ არბილებს, ახვილებს და ახავერდებს კანს.

იყიდება კავკასიის ყველა სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.



## ქუთ. სამხედრო ლაზარეთის კანცელარიაში ამა წლის 28 დეკ. დილის 10 საათზე მოხდება

# საჯარო ვაჭრობა

1914 წლის განმავლობაში სანოვაგის მიწოდების იჯარით გასაცემათ. წლიურათ ლაზარეთს დაახლოებით 25 ათასი მანათის სანოვაგე სჭირდება. პირობის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ლაზარეთის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან 12 ს.